



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული  
სააგენტოს  
გენერალური დირექტორი



KA990175611757918

№02/8

14 / თებერვალი / 2018 წ.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კულტურული მემკვიდრეობის თვალაზრისით დირეზული ობიექტებისათვის  
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის  
უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების,  
„კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს  
კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს  
შორის გაფორმებული 2015 წლის 30 ოქტომბრის №02 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის „ა“  
პუნქტის შესაბამისად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:






1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ ბრძანების დანართში მითითებულ  
ობიექტებს.
2. დაევალოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საინფორმაციო  
სისტემების სამსახურს ამ ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების ძეგლთა სახელმწიფო  
რეესტრში ასახვა.
3. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ბრძანების  
დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე  
ასახვის მიზნით შესაბამისი ღონისძიების განხორციელება.
4. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.







ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში  
საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №4).




გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიძე

დანართი

№	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1.		ავკვეთის წმ. გიორგის ეკლესია	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ავკვეთი (GPS კოორდ. 41.890431°, 44.194661°)	არქიტექტურის	XI-XII საუკუნეები
2.		დავითაშვილების საგვარეულო მარანი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კალოუბანი (GPS კოორდ. X: 4934755.775, Y: 5145101.195;	არქიტექტურის / ეთნოგრაფიული	გვიანი შუა საუკუნეები
3.		ნავდარაანთკარის წმ. გიორგის ეკლესია და ნიში	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ.ნავდარაანთკარი (GPS კოორდ. 41.895419° 44.825640°)	არქიტექტურის / არქეოლოგიური	VI-VII საუკუნეები. გვიანი შუა საუკუნეები
4.		ხოვლეს კოშკი	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლე (სოფ. სასაფლაოზე GPS კოორდ. 41.903994°, 44.229527°)	არქიტექტურის	XVI-XVII საუკუნეები
5.		ხოვლეს მაცხოვრის სახელობის ეკლესია	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლე (GPS კოორდ. 41.905439° 44.234400°)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები

6.		გიორგი გამყრელიძის სახლი	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზოდი (სკ.38.09.32.008 დანართ N1-ში მითითებულ საზღვრებში)	არქიტექტურის / მემორიალური	XIX საუკუნის ბოლო
7.		ალექსანდრე მელიქ ფაშაევის სახლი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. შაუმიანი (ს.კ. 83.10.09.050)	არქიტექტურის / მემორიალური	XIX საუკუნის ბოლო.
8.		წმ. გიორგის სახელობის ეკლესია	ჭიათურის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ჩხირაული (სოფლის სასაფლაოზე)	არქიტექტურის	XIX საუკუნე
9.		კვირაცხოვლის სახელობის ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზისუბანი (სოფ. დასავლეთით 2 კმ-ზე, სასაფლაოს ტერიტორიაზე)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
10.		„თამარის“ სახელობის ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზისუბანი (სოფლის სამხ.-დას-ით 3 კმ-ზე, ადგილ „დავითიანში“)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები
11.		„დავითიანის“ ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზისუბანი (სოფლის სამხ.-დას-ით 2,5კმ-ზე კმ-ზე, ნათლისხევის მარცხენა ნაპირზე, ადგილ „დავითიანში“)	არქიტექტურის	განვითარებული შუა საუკუნეები

12.		წმ. ელიას სახელობის ეკლესია	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაზისუბანი (სოფ. დას-ით 6 კმ-ზე, ტყეში, შაშიანის ხევის პირას)	არქიტექტურის	გვიანდელი შუა საუკუნეები
13.		ტაბაწყურის „ხარების“ ეკლესია	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, სოფ. ტაბაწყური (GPS კოორდ. X0384318 Y4616306)	არქიტექტურის / არქეოლოგიური	X საუკუნე
14.		ნაგომრის ღვთისმშობლის შობის ეკლესია	ცაგერის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ლუხვანო	არქიტექტურის	XIX საუკუნის II ნახევარი